საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს

2016 წლის შემაჯამებელი შეხვედრა

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ სასამართლო სისტემის 2016 წლის საქმიანობის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შემაჯამებელი შეხვედრა გამართა. მან შეხვედრის მონაწილეებთან პრეზენტაციის ფორმატში ვრცლად მიმოიხილა უზენაესი სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მიმდინარე წელს განხორციელებული აქტივობები, რომელიც მიზნად ისახავდა რეფორმის ოთხი შემდეგი ძირითადი მიმართულების პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვას.

1. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

იუსტიციის უმაღლესი საბჭო - პირველად მართლმსაჯულების ისტორიაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივითა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციათა ფართო სპექტრის აქტიური ჩართულობით დაიწყო მართლმსაჯულების სტრატეგიისა და 5-წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც სამინისტროს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში დამტკიცებული სასამართლოს 2017-2020 წლების მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ნაწილი გახდება. ვენეციის კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით, პრაქტიკაში ამოქმედდა მოსამართლეთა უვადო დანიშვნის წესი და თანამდებობაზე 12 მოსამართლე განწესდა. მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში, იუსტიციის სამინისიტროსთან შეთანხმებით, შემუშავდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც შეეხება საბჭოს ფარგლებში მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნას, სასამართლოში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის შემოღებას, დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის დანერგვასა და საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმების გაფართოებას.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტი - სასამართლოში შემოსულ საქმეთა ნაკადის მკვეთრი ზრდისა და სასამართლოთა გადატვირთულობის გათვალისწინებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისა და გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა საერთო სასამართლოების სისტემაში ქსელური ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი შეძენა და გაუმჯობესება.

2.მართლმსაჯულების ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

იუსტიციის უმაღლესი საბჭო - საგრძნობლად გაიზარდა სასამართლოს კანდიდატებთან გასაუბრების, კენჭისყრის შედეგებისა და შერჩეული კანდიდატის გამოვლენის პროცედურების გამჭვირვალობა და დაინტერესებული

პირებისთვის სათანადო ინფორმაციის ოფიციალურ ვებ.გვერდზე ხელმისაწვდომობა. მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე გამართლ საბჭოს სხდომებზე უზრუნველყოფილი იყო არასამთავრობო ორგანიზაციათა და მედიის წარმომადგენელთა შეუზღუდავი მონაწილეობა. მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებასთან დაკავშირებით, საბჭომ მოსამართლეებისთვის სპეციალური ინსტრუქციები შეიმუშავა. შეცვლილია დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკა წინა წლებთან შედარებით. მაგალითად, 2016 წლის მონაცემებით, პირველად იქნა გამოყენებული მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის სახედ გაფრთხილება. იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით მუშაობს დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლების დასახვეწად საჭირო საკანონმდებლო წინადადებებზე.

უზენაესი სასამართლო - საერთშორისო ექსპერტების, სამოქალაქო საზოგადოების, სახალხო დამცველისა და ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით შემუშავდა სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების წესი. აღნიშნული წესის ეფექტურად დანერგვისთვის უზენაესი სასამართლოსა და ევროპის საბჭოს მიერ საქართველოს მასშტაბით სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ჩატარდა ერთბლივი ტრენინგი. 2017 წლის განმავლობაში სრულყოფილად ამოქმედდება სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა - info.court.ge.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა -მოსამართლეთა პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებისთვის მიმდინარე წელს ორი სასწავლო ტრენინგი ჩატარდა. სკოლამ შეიმუშავა "სამოსამართლეო ეთიკის სიღრმისეული კურსი", რომლის სწავლებაც 2016 წლის დეკემბრიდან დაიწყო.

3. ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულება

იუსტიციის უმაღლესი საბჭო -სამოქალაქო კატეგორიის დავების სწრაფად და ეფექტურად განხილვის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ფარგლებში შეიქმნა საბანკო დაწესებულებების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი დავების განხილველი ვიწრო სპეციალიზაცია. ამ კატეგორიის დავები სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში არსებული დავების 51%-ს შეადგენს, შესაბამისად, ვიწრო სპეციალიზაცია ხელს შეუწყობს გაჭიანურებული სამოქალაქო სამართალწარმოების საგრძნობ შემცირებას. საბჭო აქტიურად მუშაობს დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მოდელის - მედიაციის განვითარებაზე, ამასთან იგეგმება საქართველოს რეგიონებში მედიაციის ცენტრების დაარსება.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა - მიმდინარე წელს მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისათვის 93 სასწავლო ტრენინგი ჩატარდა.

საერთო სასამართლოები -არასამთავრობო ორგანიზაციათა მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილებების რიცხვმა მოიმატა. სასამართლოში განხილული საქმეების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება მნიშვნელოვნად ორიენტირებულია ადამიანის უფლებების სათანადო დაცვაზე. მაგალითად, მიმდინარე წელს პატიმრობის ხვედრითი წილი 29%-მდე შემცირდა, ხოლო არასაპატიმრო ღონისძიებების - 71%-მდე გაიზარდა. დადებითი ტენდენციით ხასიათდება აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების დროს პროკურატურის მხრიდან მოთხოვნილი გირაოს თანხის ოდენობის შემცირება მოსამართლის მიერ. საერთო სასამართლოების მიერ გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 228 პირის მიმართ, რაც 3-ჯერ აღემატება 2011 წლის მაჩვენებელს. ამასთან, კლებისკენ შეიცვალა სასამართლოში არასრულწლოვნების მიმართ პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი, 2016 წელს მხოლოდ 43 ბავშვის მიმართ გამოიყენა სასამართლომ პატიმრობა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ შემცირებულია სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმეების ხვედრითი წილი. კერძოდ, 2011 წელს დავების 66% წყდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ, 2016 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა მხოლოდ 40% შეადგინა.

4.მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და ნდობა

საერთო სასამართლოების დეპარტამენტი - საქართველოს მასშტაბით სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 21 სასამართლოს. მოეწყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დარბაზები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძალაში შესვლასთან ერთად სასამართლოებში დაინერგა თანამედროვე ინფრასტრუქტურული მოწყობის პროექტები. საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის გამოიყო ახალი შენობა და სათანადოდ აღიჭურვა. კერძოდ, სამოქალაქო კოლეგიისთვის მოეწყო სამი სხდომათა დარბაზი, 5 სამუშაო ოთახი მაგისტრი მოსამართლეებისათვის, აგრეთვე არასრულწლოვან ბრალდებულთა სამი საკანი და შეხვედრების სპეციალიზებული ოთახი. შესაბამისად, საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას მოსამართლე, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი არასრულწლოვანთან გასაუბრებას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ბავშვზე ადაპტირებულ გარემოში წარმართავენ.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრაქტიკაში იმპლემენტაციისათვის 2015-2016 წლებში 212-მა მოსამართლემ გაირა სერთიფიცირებული ტრენინგ-კურსი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო -საზოგადოებაში მართლმსაჯულებისადმი ნდობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისთვის დამტკიცდა საქართველოს საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სპიკერ-მოსამართლის დებულება. საბჭოში მართლმსაჯულებაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები მედიის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. საბჭოს ფარგლებში მიმდინარეობს კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმაზე აქტიური მუშაობა.საერთო სასამართლოებში გაუმჯობესდა ელექტრონული სამართალწარმოების პროგრამული უზრუნველყოფა.

უზენაესი სასამართლო - მართლმსაჯულების სფეროში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასამართლომ მიმდინარე წლის განმავლობაში წამყვანი ევროპული ქვეყნების დელეგაციებს უმასპინძლა, აგრეთვე, განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ოფიციალური ვიზიტი. ჩატარდა 43 შეხვედრა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში, გაიმართა ოთხი მრგვალი მაგიდა და სამი საერთაშორისო კონფერენცია.ითარგმნა 200-მდე ევროსასამართლოს გადაწყვეტილება და გამოიცა სამი კვლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თაობაზე.საერთო სასამართლოების პრაქტიკის განზოგადების მიზნით სულ გამოიცა 31 თემატური ჟურნალი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათ ელექტრონული საძიებო პროგრამის (HUDOC) ქართული ანალოგის შექმნის თაობაზე.

შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დეტალურად გაცნობოდნენ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკურ ანგარიშს, რომელიც წარმოდგენილი იქნა ორენოვანი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ბროშურის სახით.